

სანთლების აქცია გორში

08 აგვისტო 2017

გორში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ ჯარისკაცთა მემორიალთან სანთლების ტრადიციული აქცია მოეწყო. შიდა ქართლის გუბერნატორმა, კახა სამხარაძემ, ქალაქ გორის მერმა, ზურაბ ჯირკველიშვილმა და პარლამენტის წევრმა, იოსებ მაკრახიძემ საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, მემორიალი გვირგვინებით შეამკეს და პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას. დონისძიების ბოლოს კი, შეკრებილებმა ფრანები გაუშვეს, რომლებზეც, სიმბოლურად, აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების სახელები ეწერა.